საზღვაო ადაპტაციური პოლიტიკის სქემა/ინსტრუმენტი: (პროექტი „პერსეუსი“ – AMP TOOLBOX)

კახაბერ ბილაშვილი[1], ვალერიან მელიქიძე[2], ვაჟა ტრაპაიძე[1]

ელ.ფოსტა: kakhaber.bilashvili@tsu.ge

[1]გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ი.ჭავჭავაძის პრ. #3, 0179 თბილისი

[1]საზოგადოებრივი გეოგრაფიის დეპარტამენტი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცმიერებათა ფაკულტეტი, ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ი.ჭავჭავაძის პრ. #14, 0179 თბილისი

პროექტი პერსეუს–ი განხორციელდა ევროკომისიის 7-ე ჩარჩო პროგრამის ფარგლებში 2011–2015 წ.წ. პროექტი მოწოდებულია ხელი შეუწყოს ევროპის საზღვაო სტრატეგიის ჩარჩო დირექტივის (The Marine Strategy Framework Directive –MSFD) იმპლემენტაციას, რომელიც ამოქმედდა 2008 წლის15 ივლისს. დირექტივა გულისხმობს, ერთის მხრივ, უზრუნველყოს საზღვაო ბიოტას დაცვა და დაბინძურების მინიმიზერება და ამავე დროს, საზოგადოების მიერ ზღვის რესურსების გამოყენების მდგრადი რეჟიმის შენარჩუნება. იმისათვის, რომ, შესაძლებელი გახდეს ასეთი წინაამღმდეგრობრივი ამოცანების გადაწყვეტა ან შეჯერება აუცილებელია სისტემების ინტეგრირებული ანალიზი, რომელსაც უზრუნველყოფს ეკოსისტემური მიდგომა (Ecosystem Approach - EcAp). ამგვარი მიდგომა წარმოადგენს ევროპული საზღვაო სტრატეგიის ქვაკუთხედს, წარმოაჩენს საზოგადოებასა და ეკოსისტემებს შორის ურთიერთობის მნიშვნელობას და ქმნის ეკოსისტებზე დაფუძნებული (Ecosystem-Based) საზღვაო გარემოს მენეჯმენტის წინაპირობას.

ამ მიზნით, პროექტის ფარგლებში შეიქმნა ეკოსისტემებზე დაფუძნებულ მენეჯმენტის გატარებისათვის ხელშემწყობი სათანადო სახელმძღვანელო ინსტრუმენტი გადაწყვეტილების მიმღები პირებისათვის. კერძოდ, შემუშავდა საადაპტაციო პოლიტიკის პროგრამა, რომელიც მოიცავს გარკვეული ინსტრუმენტების პაკეტს (თულბოქსი) და სტეიქჰოლდერების და პოლიტიკოსების სამოქმედო პლატფორმას. იგი უზრუნველყოფს სახვადასხვა დონის სამენეჯმენტო სქემებს და სააპდატაციო პოლიტიკას, რომელთა იმპლემენტაცია მიზნად ისახავს კარგი გარემოს სტატუსის მიღწევას სამხრეთ ევროპული ზღვების ეკოსისტემებში და ამით, სანაპირო ქვეყნების მდგრად განვითარებას. ასეთ თულბოქსს საფუძვლად უდევს ე.წ. „ადაპტაციური“ პოლიტიკის რეალიზაციის პრინციპი, რომელიც, ითვალისწინებს – წინმსწრებ შეფასებას, განუსაზღვრელობის და ცოდნის (ინფორმაციის) ხარვეზების მხედველობაში მიღებას, რისკებზე რეაგირებას, განხორციელების პროცესში პოლიტიკის კორექტირების (ადაპტაციის) საშუალებას და ა.შ.